ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N3

სხდომის ჩატარების დრო:

20 აპრილი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მესამე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, ჯ.ბიბილეიშვილი, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან 19 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: კ.გურული, გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 16 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ქუთაისის ფილიალის პროექტების კოორდინატორი, ბატონი ნ.ჯიქია, საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-3 სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარდგენამდე **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** გააკეთა **განცხადება:** „როგორც საკრებულოს თავმჯომარემ ოფიციალურად მინდა რამდენიმე განცხადება გავაკეთო. რამდენიმე დღეა საზოგადოებაში მიმდინარეობს აქტიურად დისკუსია,

რომელიც შეეხება აუდიტის დასკვნას. წინა სხდომაზე ამასთან დაკავშირებით გავაკეთე გარკვეული განცხადება და კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო. ანგარიში, რომელიც წარუდგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სახელმწიფო აუდიტმა, ეხება 2019 - 2020 წლებს, მოიცავს მთელ რიგ საკითხებს. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ საკრებულო, როგორც ინსტიტუცია, მზად არის აღნიშნული ანგარიშის განხილვის, გაცნობისა და შესაბამისის რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის. მასში ბევრი რამეა მოცემული და ამაზე ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს თავის მოსაზრება, რომელსაც აუცილებლად წარუდგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ აღნიშნულ დოკუმენტზე ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებს გააჩნიათ თავისი მოსაზრებები, რომელიც შეუძლიათ ღიად და საჯაროდ გამოხატონ. ჩვენ აუცილებლად მოვახდენთ კანონის შესაბამისად დასკვნის მიმართულებით მუშაობას. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხს, რომელიც საზოგადოების მხრიდან გახდა ასევე განხილვის საგანი, ეს არის სოციალური ნაწილი და მასში ასახული რეკომენდაციები. სამართლებრივად განვმარტავ, მაშინ, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი დგება, ჩვენ ვამტკიცებთ ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად თვითმმართველობის ბიუჯეტს. საკრებულოში ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია თავისი ბიუჯეტი, რომელიც რამდენიმე მუხლისგან შედგება. ასეთი მუხლებია: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, მივლინება, ოფისის ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯი, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები, სხვა საქონელი და მომსახურება და ცალკე მუხლად აღნიშნულია სოციალური უზრუნველყოფა. აღნიშნულ მუხლში ასახულია კონკრეტული ასიგნებები, რომლებიც მოიცავს ამ მიმართულებას. ამ ასიგნებებში ფისკალური რესურსი წარმოადგენს 54 ათას ლარს. ეს ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წელს. ეს არ არის დღევანდელი პრაქტიკა, ან 2014 წლის პრაქტიკა, ან 2017 წლის პრაქტიკა. ასეთი მუხლი საკრებულოსა და აღმასრულებელი ორგანოს ბიუჯეტში არსებობს. ასეთი პრაქტიკა იყო 2011 წელსაც, 2007 წელსაც. რას ნიშნავს ეს მუხლი? ეს მუხლი ნიშნავს საჯარო სექტორის პასუხისმგებლობას, რომ ნებისმიერი საჭიროება, რომელიც კონკრეტული თანამდებობის პირი იქნება თუ საჯარო მოხელე. ეს აღნიშნავს სოციალურ საჭიროებას, როგორიც არის

დეკრეტული შვებულება, საავადმყოფო ფურცლის დაფინანსება, ასევე ჯანმრთელობის ან სხვა რაიმე სოციალური საჭიროება. ეს არის მუხლი, რომელიც გარანტიას აძლევს თითოეულ საჯარო მოხელეს, მათ შორის პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური თანამდებობის პირებს, საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს, ან ნებისმიერ სხვა პირს მიმართოს და კონკრეტული მუხლიდან მიიღოს დაფინანსება. ეს არ ნიშნავს, რომ ამ მუხლიდან, რომ კონკრეტულ ადამიანზე ან სოციალურ ჯგუფზე გათვლილია კონკრეტული თანხა, ისე როგორც მედიაში გაშუქდა ეს, რომ ვინმემ, მათ შორის ირაკლი შენგელიამ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს გამოართვა თანხა და აიღო. ასეთი რამ არ არსებობს. აქ არის საუბარი სოციალურ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ნებისმიერი ჩვენგანის წინაშე შეიძლება დადგეს. არ აქვს მნიშვნელობა რასას, კანის ფერს, პოლიტიკურ შეხედულებას, პოლიტიკურ კუთვნილებას. იმ განცხადებას, რომელიც მე, მათ შორის ჩემს კუთვნილ „ფეისბუქ“ გვერდზე გავაკეთე, ამ პროცესისთვის ნათელი უნდა მოეფინა. თუმცა, სამართლებრივ შეფასებას ამას ჩვენი მხრიდან მისცემს ადგილობრივი თვითმმართველობა. დანარჩენზე, თუ რაიმე ხარვეზია აუდიტორის მიმართ, მიმდინარეობს გამოძიება და ეს არ ეხება მხოლოდ სოციალურ თემატიკას. ამ დოკუმენტში ასახულ ყველა მიმართულებას ეხება. შესაბამისად, ამას გასცემს გამოძიება პასუხს. ჩვენ და დღევანდელი დღე დემოკრატიის ის სტანდარტი დევს ჩვენს წინ და ჩვენი ხელისუფლების პირობებში, მით უმეტეს, საკრებულოში, ნებისმიერი კითხვის მიმართ ჩვენ ვართ ღია. ნებისმიერი წევრი არის ღია. ანგარიშვალდებულების სწორედ მაღალი ხარისხი გვაძლევს ჩვენ ამის თქმის საშუალებას. არც ერთი დეპუტატი და მით უფრო მაჟორიტარი დეპუტატი არ გაურბის ამ ღიაობას და ანგარიშვალდებულებას და კარგად აქვს გათვითცნობიერებული, თუ რას ნიშნავს იყო ანგარიშვალდებული ხალხის წინაშე. მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს საკმარისი, თუმცა, არც მე და არც ერთი ჩვენთაგანი ამ შეკითხვებს არ გაექცევა, პირიქით, მზად ვართ ამ დისკუსიაში შესვლისათვის.

მეორე - მნიშვნელოვანი საკითხი. მე მინდა, ერთი რამ ვთქვა, არსებობს სიტყვა, რომელიც სრულდება, სიტყვის ფასი მიუხედავად პოლიტიკური კონიუნქტურისა, ამ სხდომაზე დღეს ძალიან ნათლად გამოჩნდა. აბსოლუტურად ღიად მინდა მადლობა

გადავუხადო ადამიანს, რომელსაც გააჩნია პასუხისმგებლობა, არამხოლოდ ქალაქის წინაშე, არამხოლოდ ადამიანების წინაშე, რომელმაც წარმოადგინა საკუთარი პოლიტიკური გუნდი თუ პოლიტიკური სუბიექტი წარმომადგენლობით ორგანოში. ეს არის სიტყვა და ეს არის კოლეგიალობა, პატივისცემა იმ ინსტიტუციისა, სადაც ადამიანი მოღვაწეობს. მადლობა ქალბატონო ელეონორა.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-3 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა საკრებულოს რიგგარეშე მესამე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის, ლევან სანიკიძის ადგილმონაცვლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ჯემალ ბიბილეიშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგის პროექტის შესახებ, საკრებულოს წევრების მიერ, მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს რიგგარეშე მე-3 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული. გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-3 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგით განსაზღვრული განსახილველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის, ლევან სანიკიძის ადგილმონაცვლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ჯემალ ბიბილეიშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ჯემალ, წარმატებებს გისურვებთ. ბატონი ჯემალი გახლავთ ახალგაზრდა ადამიანი, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, ძალიან მნიშვნელოვანი ბიოგრაფია აქვს. მას საკმაოდ კარგი განათლება და ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს საჯარო სექტორში, უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში მუშაობის. მინდა წარმატება და ნაყოფიერი საქმიანობა ვუსურვო ბატონ ჯემალს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ.გურული. გ.შუშანია,

გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პროექტით განსაზღვრული საკითხის შესახებ მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თ.ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის, ლევან სანიკიძის ადგილმონაცვლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ჯემალ ბიბილეიშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ **განკარგულება N70** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-3 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის განხილვის დამთავრებისა და მასთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს რიგგარეშე მე-3 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-3 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 11:46:38 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.